ოქმი:**ო37. 37232912**
თარიღი:**18/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნუგზარ სარჯველაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 12 ოქტომბერი
სოფელი შემოქმედი
16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა:ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, შემქმედი-ბოხვაურის მერის წარმომადგენლები,კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ნუგზარი სარჯველაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი,იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ნუგზარ სარჯველაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, სოფლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე: გზის საფარის მოწყობა,დაზიანებული გზების რეაბილიტაცია,სასმელი წყლით უზრუნველყოფა,სანიაღვრე არხების გაწმენდა სასპორტო ღონისძიების მხარდაჭერა(ჭადრაკის სკოლის დაფინანსება.) საკრებულოს სხდომებზე მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან მნიშვნელოვანია:ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტები.ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის პროექტი,

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები, მიწის ნორმატიული ფასების განსაზღვრის წესი: სოციალური დახმარების, მიღების და გაცემის წესი.

სხდომაზე დაისვა საკითხი სოფ. შემოქმედის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაძე არსებული ვარლამ სიმინიშვილის სახელობის სახლ- მუზეუმისთვის დამატებითი ფუნქციის მინიჭების შესახებ. მიმდინარე პერიოდისთვის აღნიშნულ სახლ-მუზეუმში ტარდება საახალწლოდ ორგანიზებული საზეიმო ღუონისძიებები.წლის სხვა პერიოდში კი არის უფუნქციოდ. საჭიროა მერიამ ვარლამ სიმონიშვილის სახლ- მუზეუმს დამატებით შესძინოს სხვა ფუნქციური დატვირთვა, რომელიც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ფუნქციონირებას წლის განმავლობაში.

სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა ძირითადად დაეთანხმა ნუგზარ სარჯველაძისადმი სხდომის მონაწილე ამომრჩევლების პოზიტიურ შეფასებას და უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანიბაში. საკრებულოს წევრების მიერ ნუგზარ სარჯველაძის საქმიანობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი